ოქმი N 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქვედა ცაგერის თემის სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის კრების.

24.01.2023 წ.

კრებას ესწრებოდნენ ქვედა ცაგერის თემის სოფელ ქვედა ცაგერის 25 მცხოვრები. კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ.ხმელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტები ბ. კოპალიანი და თ.საღინაძე კრებას ასევე ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქვედა ცაგერის თემში დავით ხეცურიანი.

კრების თავჯდომარე : გ.ხმელიძე

მდივანი : დ.ხეცურიანი

კრების დღის წესრიგი:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ცაგერის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 848.00 (ს/კ 89.02.24.079) ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისების თაობაზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ. ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე რომ სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო'' გეგმავს სოფელ ქვედა ცაგერის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებას რისთვისაც საჭიროა სოფლის მოსახლეობის თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: დ.საღინაძემ, მ. კოპალიანმა, ჯ. ლიპარტელიანმა

როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს საპრივატიზაციო ობიექტს ესაზღვრება ადგილობრივ მცხოვრებთა რამოდენიმე სამოსახლო მიწის ნაკვეთს, მიწის ნაკვეთის გაყიდვა გამოიწვევს კერძო სამოსახლომდე მისასვლელი გზის ჩაკეტვას. შესაბამისად, სოფელმა უარი განაცხადა რაიმე სახით მიწის პრივატიზებაზე.

აღსანიშნავია რომ, დაინტერესების შემთხვევაში საპრივატიზაციოდ შესაძლოა მომზადდეს იმავე ტერიტორიის მიმდებარედ, გზის მარცხენა მხარეს არსებული მიწის ნაკვეთი.

კრების მონაწილე 25 პიროვნებიდან მიწის ნაკვეთების გასხვისებაზე წინააღმდეგია 25.

დაადგინეს: უარი ეთქვას ქონების ეროვნულ სააგენტოს სოფელ ქვედა ცაგერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვაზე.

კრების მინაწილეთა სახელობითი სია და ხელმოწერები უარის თქმაზე ოქმს თან ერთვის.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი : დ. ხეცურიანი